ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

2019 წლის ბიუჯეტზე

ფოთი 2020 წელი

საბიუჯეტო სახსრების მობილიზება

2019 წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაზუსტებული საბიუჯეტო შემოსულობების გეგმა შესრულებულია 106.1%-ით. გეგმით გათვალისწინებული იყო 22 758.0 ათ. ლარის მობილიზება. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 24 141.5 ათ. ლარი.





I. შემოსავლები

შემოსავლების გეგმა შესრულებულია 106.5%-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22 658.0 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 24 123.3 ათ. ლარი.





მათ შორის:

1) გადასახადებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 110.1%-ით. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 13 978.1 ათ. ლარი.

აქედან:

ა) საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი შესრულდა 8 350.2 ათ. ლარით, რაც გეგმის 107.1%-ია;

ბ) უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 30.0 ათ. ლარის მობილიზებას, შემოსავალმა 27.0 ათ. ლარი შეადგინა;

გ) ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი შესრულდა 110.4 ათ. ლარით, რაც გეგმის 368.0%-ია;

დ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადიდან შემოსავალმა 26.8 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 178.7%-ია;

ე) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი შესრულდა 1 880.2 ათ. ლარით, რაც გეგმის 131.9%-ია;

ვ) დამატებითი ღირებულების გადასახადიდან შემოსავალმა 3 583.5 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 105.4%-ს შეადგენს.





2) გრანტებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 89.2%-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6 165.2 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავალმა 5 497.1 ათ. ლარი შეადგინა.

მათ შორის:

ა) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტების გეგმა 33.0 ათ. ლარი, შესრულდა 69.1%-ით;

ბ) ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერების (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) გეგმა შესრულდა 106.3%-ით, ანუ ფაქტიურმა შემოსავალმა 276.3 ათ. ლარი შეადგინა;

გ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერების გეგმა შეადგენდა 5 872.2 ათ. ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 5 198.0 ათ. ლარი, ანუ 88.5%.





საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 26 თებერვლის N334 განკარგულებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს, 2019 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი ვალდებულებების დასაფინანსებლად, გამოეყო დროებითი ფინანსური დახმარება 2 500 000 ლარის ოდენობით. განკარგულების შესაბამისად, აღნიშნული დროებითი ფინანსური დახმარების სარგებლობის ვადად განისაზღვრა არაუგვიანეს 2019 წლის 1 აგვისტო. შესაბამისად, დროებითი ფინანსური რესურსის დაბრუნება მოხდა ივლისის თვეში სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

3) სხვა შემოსავლების გეგმა გათვალისწინებული იყო 3 794.3 ათ. ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 648.1 ათ. ლარი, რაც გეგმის 122.5%-ია.

აქედან:

ა) პროცენტებიდან შემოსავალმა 192.4 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 274.9%-ია;

ბ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, მოსაკრებლიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 098.9 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 110.5%-ია;

გ) მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შემოსავალმა შეადგინა 79.4 ათ. ლარი, ანუ 264.7%;

დ) ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდელებიდან შემოსავალმა შეადგინა 709.0 ათ. ლარი, ანუ 93.3%.

მათ შორის:

- სანებართვო მოსაკრებლიდან შემოსავალმა შეადგინა 28.5 ათ. ლარი, რაც გეგმის 57.0%-ია;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან შემოსავალმა 0.2 ათ. ლარი შეადგინა;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან შემოსავალმა 120.3 ათ. ლარი შეადგინა, ანუ 75.2%;
- დასახლებული ტეროტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივმა მოსაკრებელმა 560.0 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 101.8%-ია;

ე) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოსავალმა შეადგინა 364.3 ათ. ლარი, ანუ 162.4%;

ვ) ჯარიმების, სანქციებისა და საურავების გეგმიდან ფაქტიურმა შემოსავალმა 887.0 ათ. ლარი შეადგინა, ანუ 118.3%;

ზ) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან შემოსავალმა 317.1 ათ. ლარი შეადგინა, ანუ 528.5%.





II. არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალმა შეადგინა 18.2 ათ. ლარი. გეგმა ითვალისწინებდა 100.0 ათ. ლარის მობილიზებას. შესრულებამ 18.2% შეადგინა.

აქედან:

ა) ძირითადი აქტივების გეგმა იყო 90.0 ათ. ლარი, შემოსავალმა 18.0 ათ. ლარი შეადგინა;

ბ) არაწარმოებული აქტივების (მიწა) გეგმა იყო 10.0 ათ. ლარი, შემოსავალმა კი 0.2 ათ. ლარი შეადგინა.


2017-2019 წლების არაფინანსური აქტივების კლებიდან
შემოსავლების შესრულების დინამიკა (ათ. ლარებში)
400.0
184.8
530.0
652.8
100.0
18.2
2017 წელი
2018 წელი
2019 წელი
გეგმა
ფაქტი


2019 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან
შემოსავლების შესრულების დინამიკა თვეების მიხედვით
(ათ. ლარებში)
20.0
18.0
16.0
14.0
12.0
10.0
8.0
6.0
4.0
2.0
0.0
იან.
თებ.
მარტი
აპრ.
მაისი
ივნ.
ივლ.
აგვ.
სექ.
ოქტ.
ნოემ.
დეკ.
გეგმა
ფაქტი

2019 წლის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები დარგობრივ ჭრილში

სულ 2019 წლის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გადასახდელების გეგმა შეადგენდა 26 935.8 ათ. ლარს, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 24 070.3 ათ. ლარი, ანუ 89.4%.



I. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2019 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 4 418.1 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 4 067.4 ათ. ლარი, რაც გეგმის 92.1%-ია.

მათ შორის:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა - დაზუსტებული გეგმა ითვალისწინებდა 4 182.7 ათ. ლარის ხარჯს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 852.3 ათ. ლარი, რაც გეგმის 92.1%-ია. მათ შორის: სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის 134 ათასი კილოგრამი სეპარაციის (შეშა) დარიგებისათვის (ტრანსპორტის ხარჯი) სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 2.5 ათ. ლარი.

2. კრედიტის (საბიუჯეტო სესხის) სარგებლობისათვის გადახდილი პროცენტი - ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 48.3 ათ. ლარი, რაც გეგმის 99.6%-ია.

3. მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დასაფარად ფაქტიურმა შესრულებამ 166.8 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 99.9%-ია.

4. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხების გეგმა 20.0 ათ. ლარი არ დაფინანსებულა.



II. თავდაცვა

თავდაცვისათვის (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური) საკასო შესრულებამ შეადგინა 97.6 ათ. ლარი. გეგმით გათვალისწინებული იყო 111.4 ათ. ლარის ხარჯი, ანუ დაფინანსებამ 87.6% შეადგინა.



III. ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური საქმიანობის ღონისძიებები (ტრანსპორტი) დაფინანსდა 89.6%-ით. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 595.4 ათ. ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 1 430.2 ათ. ლარი. აღნიშნული თანხა დაიხარჯა:

- ქუჩების ორმული შეკეთებაზე - 2.5 ათ. ლარი.

აღნიშნული თანხა მოხმარდა 2018 წლის კრედიტორული დავალიანების დაფარვას.

- საგზაო ნიშნების შეძენა-მონტაჟზე და ჰორიზონტალურ საგზაო მონიშვნაზე - 29.8 ათ. ლარი.
  აღნიშნული თანხით შეძენილ და დამონტაჟებულ იქნა 102 ცალი საგზაო ნიშანი. ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნის სამუშაოები განხორციელდა 9 აპრილის ხეივანზე, ნიკოლაძის სანაპიროზე, იმერეთის, აკაკის, წმინდა გიორგის, აღმაშენებლის ქუჩებზე, რუსთაველის რკალზე. ბარათაშვილის ქუჩიდან ყოფილი ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე მოეწყო პლასტმასის მიმმართველი სასიგნალო ბოძკინტები.
- ქუჩებში სათვალთვალო ვიდეოკამარების მოწყობაზე - 11.3 ათ. ლარი.
  2017 წლიდან ქალაქში სულ დაინსტალირებულ იქნა 83 ერთეული ვიდეოკამერა.
- საავტომობილო გზების სამშენებლო, სარეაბილიტაციო, ნაპირდაცვის, სახიდე გადასასვლელების სამშენებლო, სარეაბილიტაციო ობიექტებისა და სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე - 144.0 ათ. ლარი.
- ქალაქ ფოთში ცენტრალური ქუჩების ტროტუარების (კოსტავას ქუჩის ნაწილის) კეთილმოწყობაზე - 329.1 ათ. ლარი.
- ბარათაშვილის ქუჩიდან ყოფილი ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი და მალთაყვის სანაპირო ზოლის (ბულვარის) შემაერთებელი გზის მოწყობაზე - 857.1 ათ. ლარი.
- თამარ მეფის, ბერდიანსკის და დ. თავდადებულის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირებაზე - 56.4 ათ. ლარი.

არ დაფინანსებულა:

- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებთან დაკავშირებული სამუშაოები, რომლის გეგმა შეადგენდა 50.0 ათ. ლარს.
  აღნიშნული სამუშაო დაფინანსდებოდა იმ შემთხვევაში, თუ სტიქიის შედეგად დაზიანდებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები.
- ლარნაკას ჩიხის მოხრეშვა-დაგრეიდერების სამუშაოები - 5.0 ათ. ლარი.
  აღნიშნულის დაუფინანსებლობა გამოწვეულია იმით, რომ ხელშეკრულების თანახმად, სამუშაო წარმოადგენდა გარდამავალს. აღნიშნული სამუშაო დაფინანსდება 2020 წელს.
- 26 მაისის, წმ. ნინოს, ლოლუას ქუჩებისა და ბესიკის ქუჩასთან შემაერთებელი ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება - 60.0 ათ. ლარი.
  დაუფინანსებლობის მიზეზი არის ის, რომ აღნიშნული სამუშაო არის გარდამავალი. ხელშეკრულება დაიდო შპს „მ პროექტი“-თან, რომელიც შესრულებას წარმოადგეს 2020 წელს.
- ქალაქ ფოთის ქუჩების რეაბილიტაციის პროექტირება-ექსპერტიზის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენდა 33.0 ათ. ლარს.
  აღნიშნული სამუშაო არ დაფინანსდა, რადგან გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა არავის მიუღია.



IV. გარემოს დაცვა

გარემოს დაცვის ღონისძიებები დაფინანსდა 58.8%-ით. დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 564.2 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 919.5 ათ. ლარი.

მათ შორის:

ა) ჩამდინარე წყლების მართვა - საკასო შესრულებამ შეადგინა 64.4 ათ. ლარი, რაც გეგმის 98.8%-ს შეადგენს. აღნიშნული თანხა მოხმარდა:

- სატუმბო სადგურების ელ. ენერგიის ხარჯებს - 17.8 ათ. ლარი.
- აბესალომ ვეკუას ქუჩაზე ახალი სატუმბი სადგურის მშენებლობის პროექტირებას - 46.6 ათ. ლარი.

ბ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში - საკასო შესრულებამ შეადგინა 855.1 ათ. ლარი, რაც გეგმის 57.0%-ს შეადგენს. აღნიშნული თანხა მოხმარდა მდინარე კაპარჭის გაწმენდას და პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენას. სამუშაო გარდამავალია და დასრულდება 2020 წელს.



V. საბინაო კომუნალური მეურნეობა

საბინაო კომუნალური მეურნეობა - შესრულებამ 91.5% შეადგინა, ანუ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 9 707.9 ათ. ლარისა, დაფინანსდა 8 882.4 ათ. ლარით.

მათ შორის:

ა) ბინათმშენებლობისთვის დაიხარჯა 1 728.5 ათ. ლარი, რაც გეგმის 89.2%-ია. აღნიშნული თანხა დაიხარჯა:

- მრავალბინიანი ს/სახლების სახურავების კაპ. რემონტზე - 725.5 ათ. ლარი.
  კაპ. რემონტის სამუშაოები ჩაუტარდა აღმაშენებლის ქუჩა N30, N31, გორგასალის ქუჩა N10, კოლიმბარის N43, N44, N45, ჭავჭავაძის ქუჩა N140, N148, N150, N152, N156, N158, კლდიაშვილის ქუჩა N88, გურიის ქუჩა N183, გეგიძის ქუჩა N15, სამეგრელოს ქუჩა N18 და ბარბაქაძის ქუჩა N3-ში მდებარე ს/სახლებს.
- მრავალბინიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაციაზე - 635.4 ათ. ლარი.
  სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 9 აპრილის ხეივანი N28, სამეგრელოს N20, N22, N24, N28, ელადას N14, N19, ბარათაშვილის N25, გურიის N181, პუშკინის N69, ფარნავაზ მეფის N3, ზამბახიძის N28, აღმაშენებლის N24, გეგიძის N15, გორგასალის N10, ჭყონდიდელის N18, ჭავჭავაძის N144, N148, N150, N152, N156, N158, და აფხაზეთის ქუჩებზე მდებარე ს/სახლებს.
- მრავალსართულიანი ს/ სახლების სახურავების კაპ. შეკეთების პროექტირებაზე - 28.2 ათ. ლარი.
  სახურავების კაპ. შეკეთების პროექტირების სამუშაოები ჩაუტარდა 27 საცხოვრებელ სახლს.
- დავით აღმაშენებლის ქ. N14; N16; N21 ს/სახლების პროექტირება-ექსპერტიზაზე - 2.5 ათ. ლარი.
- მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების მოვლა-პატრონობაზე - 25.7 ათ. ლარი.
  მოვლა-პატრონობის სამუშაოები ჩაუტარდა 65 ერთეულ ლიფტს.
- მრავალბიანიანი ს/ სახლების ლიფტების რეაბილიტაციაზე - 302.7 ათ. ლარი.
  რეაბილიტაციის სამუშაოების ჩაუტარდა გორგასალის ქუჩა N7, 9 აპრილის ხეივანი N18, ჭანტურიას ქუჩა N7, N9, N11, კოსტავას ქუჩა N16, N18, N20, ჭავჭავაძის ქუჩა N148, N150, N152, N156, N158 მდებარე ს/სახლების ლიფტებს.
- მრავალბიანიანი ს/ სახლების ლიფტების რეაბილიტაციის პროექტირებაზე - 8.5 ათ. ლარი.
  ლიფტების რეაბილიტაციის პროექტირების სამუშაოები ჩაუტარდა ჭანტურიას N7, N9, N11, გორგასალის N7, 9 აპრილის ხეივანი N18, ჭავჭავაძის N148, N150, N152, N156, N158 ს/სახლების ლიფტებს.

არ დაფინანსებულა:

- აღმაშენებლის ქუჩის მრავალბინიანი ს/სახლების რეაბილიტაცია თანხით 8.9 ათ. ლარი. აღნიშნულ სამუშაოზე მიმდინარეობს სასამართლო დავა.

ბ) კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის დაიხარჯა 2 547.2 ათ. ლარი. გეგმა ითვალისწინებდა 3 104.2 ათ. ლარის ხარჯს, ანუ შესრულებამ 82.1% შეადგინა. აღნიშნული თანხა მოხმარდა:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პანდუსების მოწყობას - 40.9 ათ. ლარი.
  პანდუსები მოეწყო საჯარო სკოლებში, ბაგა-ბაღებში, რესურ-ცენტრში, ა(ა)იპ „ბავშვთა ცენტრში“, ა(ა)იპ „ა. ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელში“, მერიის ადამინისტრაციულ შენობაში, კულტურის სახლში, სადაც დროებით განთავსებულია თეატრი.

- უპოვართა სასადილოს დამხმარე სათავსოს კაპ. შეკეთებას - 17.8 ათ. ლარი.
- უპოვართა სასადილოს დარბაზის კაპ. შეკეთებას - 1.0 ათ. ლარი.
- ცენტრალური კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობის პროექტირებას - 29.5 ათ. ლარი.
- მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობას - 795.5 ათ. ლარი.
  აღნიშნული სამუშაოები შესრულდა 26 მაისის N4, ბარათაშვილის N99, ლოლუას N5, ჭანტურიას N7, N9, N11, თავდადებულის N15, N17, არზიანის N3, ჭავჭავაძის N138, N140, N148, N156, N158, ელადას N17, N19, N21, N8, N8ᵃ, სარსანიას N32, N34-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების ეზოებში.
- დიდების მემორიალის კაპ. შეკეთებას - 64.4 ათ. ლარი.
- მალთაყვის სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციას - 105.4 ათ. ლარი.
- კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის პროექტირებას - 165.6 ათ. ლარი.
- კუნძულის უბნის სანაპირო ზოლისა და მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს - 1055.0 ათ. ლარი.
- წმ. გიორგის N24-ში მდებარე, ყოფილი ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაციის (შემდგომში უმაღლესი სასწავლებელი) პროექტირებას - 147.5 ათ. ლარი.
- ავტობუსების ავტოპარკის მშენებლობის პროექტირება-ექსპერტიზას - 15.5 ათ. ლარი.
- გეგიძის ქუჩაზე მდებარე ყოფილი პოლიციის შენობის მიმდინარე რემონტის პროექტირება-ექსპერტიზას - 5.2 ათ. ლარი.
- სახელმწიფო დროშების შეძენას - 4.9 ათ. ლარი.
- საბავშვო მოედნის მოწყობას და ატრაქციონების შეძენა-მონტაჟს - 99.0 ათ. ლარი.
  ატრაქციონებითა და ტრენაჟორებით მოეწყო ჯავახიშვილის N30 და N32, მემედ აბაშიძის N14, ჭავჭავაძის N148, ნინოშვილის N39 და N41, აღმაშენებლის N2, 9 აპრილის N21-ში მდებარე საბავშვო მოედნები.

არ დაფინანსებულა:

- მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების მოხრეშვის სამუშაოები, თანხით 50.0 ათ. ლარი.
- დიდების მემორიალის რეაბილიტაციის პროექტირების სამუშაოები, თანხით 27.4 ათ. ლარი.
- ავტობუსების ავტოპარკის მშენებლობის სამუშაოები, თანხით 50.0 ათ. ლარი.
- საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეთა მოსაცდელების მოწყობის პროექტირება-ექსპერტიზის სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენდა 19.7 ათ. ლარს.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში მერის რწმუნებულების ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის პროექტირების სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენდა - 21.0 ათ. ლარს.
- საახალწლო ქალაქგაფორმებისათვის ინვენტარის შეძენა თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი), თანხით 235.1 ათ. ლარი.
- გამწვანების სამუშაოები, თანხით 70.0 ათ. ლარი.

  აღნიშნული სამუშაოები დაფინანსდება 2020 წელს.

გ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციისათვის გეგმით განსაზღვრული იყო 1 611.9 ათ. ლარის ხარჯი, დაფინანსებამ შეადგინა 1 600.6 ათ. ლარი, ანუ 99.3%. აღნიშნული თანხა მოხმარდა:

- გარე განათების ელ.ენერგიის ხარჯების ანაზღაურებას - 661.8 ათ. ლარი.
- გარე განათების არსებული ქსელის ლედ სანათებით ჩანაცვლების სამუშაოებს - 938.2 ათ. ლარი.
- დადიანის მოედნის განათებას - 0.6 ათ. ლარი.

დ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში - გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 3 053.6 ათ. ლარის ხარჯს, დაფინანსდა 3 006.1 ათ. ლარით, ანუ 98.4%-ით. მათ შორის:

- უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების (მაწანწალა ძაღლები) დაჭერა-იზოლირებისათვის დაიხარჯა 25.4 ათ. ლარი.
- ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“ დაფინანსდა 2 420.0 ათ. ლარით.
- ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი“ დაფინანსდა 85.0 ათ. ლარით.
- საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებისათვის ხარჯმა შეადგინა 475.7 ათ. ლარი.



VI. განათლება

განათლების სფერო დაფინანსდა 94.2%-ით, ანუ 3 502.9 ათ. ლარით. გეგმა ითვალისწინებდა 3 716.7 ათ. ლარის ხარჯს.

მათ შორის:

ა) სკოლამდელი აღზრდა

1. ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“ დაფინანსდა 2 548.0 ათ. ლარით, ანუ 99.9%-ით;

2. საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (გათბობის სისტემის მოწყობა) დაფინანსდა 211.5 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია. აღნიშნული თანხით გათბობის სისტემა მოეწყო N9, N11, N12, N14 და N15 საბავშვო ბაღებში.

3. N15 და N17 სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში გათბობის სისტემების მოწყობის პროექტირება დაფინანსდა 100.0%-ით, ანუ 3.3 ათ. ლარით.

4. N11; N12; N13; N14; N15; N17 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების კაპ. შეკეთება დაფინანსდა 57.8 ათ. ლარით, რაც გეგმის 45.5%-ია. აღნიშნული სამუშაოები გაგრძელდება 2020 წელს.

5. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სახურავების კაპ. შეკეთება დაფინანსდა 188.3 ათ. ლარით, რაც გეგმის 88.0%-ია. აღნიშნული თანხით კაპიტალურად შეკეთდა N5, N10, N11, N14 და N17 საბავშვო ბაღების სახურავი.

6. ჭავჭავაძის ქუჩის N154-ში მდებარე N14 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ეზოს კეთილმოწყობის პროექტირება-ექსპერტიზა - გეგმა ითვალისწინებდა 3.5 ათ. ლარის ხარჯს, რაც არ დაფინანსებულა. ხელშეკრულებით, აღნიშნული სამუშაო გარდამავალია და შესაბამისად, დასრულდება 2020 წელს.

ბ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში

1. N1; N3; N4; N5; N6; N7; N8; N15 საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსდა 425.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 78.7%-ს შეადგენს. აღნიშნული თანხა მოხმარდა N1, N3, N4, N6 და N8 სკოლებს, ასევე დაფინანსდა საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო მომსახურება. აღნიშნული სამუშაოები გაგრძელდება 2020 წელს.

2. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა დაფინანსდა 35.7 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია. ტრანსპორტით უზრუნველყოფა ხდება N4 და აფხაზეთის N21 საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის.

3. მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედების ცენტრი დაფინანსდა 100.0%-ით, ანუ 33.3 ათ. ლარით.



VII. დასვენება, კულტურა და რელიგია

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსდა 84.6%-ით, ანუ 3 870.4 ათ. ლარის ნაცვლად დაფინანსებამ 3 274.8 ათ. ლარი შეადგინა.

მათ შორის:

ა) სპორტის სფერო

სპორტის სფერო დაფინანსდა 1 603.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 86.9%-ია.

1. ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა“ დაფინანსდა 99.8%-ით. საკასო შესრულებამ 115.3 ათ. ლარი შეადგინა.

2. ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძი“ დაფინანსდა 70.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 100%-ია.

3. ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“ დაფინანსდა 99.9%-ით, ანუ საკასო შესრულებამ 932.5 ათ. ლარი შეადგინა.

4. ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტისა და ტურიზმის ცენტრი" დაფინანსდა 215.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

5. ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 88.5%-ით, ანუ საკასო შესრულებამ 112.9 ათ. ლარი შეადგინა.

მათ შორის:

- ევროკავშირისა და ნატოს დღეები ფოთში - 3.3 ათ. ლარი.
- ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე - 7.6 ათ. ლარი.
- ვალერიან მაქაცარიას სახელობის ღია პირველობა ცხენოსნობაში - 2.4 ათ. ლარი.
- წარმატებულ სპორტსმენებზე და მწვრთნელებზე გასაცემი ფულადი ჯილდო - 22.6 ათ. ლარი.
- წლის საუკეთესო სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება - 6.9 ათ. ლარი.
- რეგიონალური სასკოლო ოლიმპიადისთვის მხიარულ სტარტებში, მინი ფეხბურთში, მინი კალათბურთში (3X3) და ხელბურთში მონაწილეების ფორმებით უზრუნველყოფა - 1.9 ათ. ლარი.
- პეტრე ზამბახიძის სახელობის ტურნირი ფეხბურთში 2005 წელს დაბადებულთა შორის - 3.9 ათ. ლარი.
- ჩემი ქალაქის მოხალისე - 4.8 ათ. ლარი.
- ზურაბ სარსანიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი კრივში - 4.9 ათ. ლარი.
- ქალაქ ფოთის ღია პირველობა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში - 3.5 ათ. ლარი.
- ვიქტორ კრატასიუკის სახელობის საერთაშორისო რეგატა საბაიდარო და კანოეთ ნიჩბოსნობაში - 2.4 ათ. ლარი.
- ომარ ბერაიას სახელობის რეგატა აკადემიურ ნიჩბოსნობაში - 2.0 ათ. ლარი.
- ქალაქ ფოთის ღია პირველობა პლაჟის ფეხბურთში - 2.1 ათ. ლარი.
- ქალაქ ფოთის ღია პირველობა ჭიდაობა ძიუდოში - 4.5 ათ. ლარი.
- დავით სანიკიძის სახელობის ღია პირველობა შვიდკაცა რაგბში - 5.4 ათ. ლარი.
- ინტელექტუალური თამაშები - 2.5 ათ. ლარი.

- სხვა გაუთვალისწინებელი სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები - 2.2 ათ. ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდა რეგიონალური ტურნირი მინი კალათბურთში 3X3 (გოგონები და ვაჟები).
- სხვადასხვა სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირება - 11.0 ათ. ლარი.
- ზაფხულის დღეები - 5.1 ათ. ლარი.
- საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ქ. ფოთის პირველობები საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის: მხიარულ სტარტებში, მინი ფეხბურთში, მინი კალათბურთში (3X3) და ხელბურთში - 7.6 ათ. ლარი.
- ქალაქ ფოთის პირველობა თენგიზ ბარამიძის თასზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის 64-უჯრიან შაშში - 2.0 ათ. ლარი.
- ვაინარ სუხიშვილის სახელობის ტურნირი კალათბურთში - 4.3 ათ. ლარი.

6. ნინო ჟვანიას ქუჩაზე მდებარე სპორტული დარბაზის კაპ. შეკეთება დაფინანსდა 26.6 ათ. ლარით, რაც გეგმის 10.6 %-ს შეადგენს. სამუშაო გარდამავალია და გაგრძელდება 2020 წელს.

7. ბესიკის ქუჩა N31-ში მდ. კაპარჭის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სანიჩბოსნო ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროექტირება დაფინანსდა 22.5 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

8. მინი სტადიონების სარემონტო სამუშაოები დაფინანსდა 95.0%-ით, ანუ 22.9 ათ. ლარით. აღნიშნული თანხით დაფინანსდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ბარათაშვილის, ჭავჭავაძის, ერთობის ქუჩებსა და ნიკოლაძის სანაპიროზე მდებარე მინი სტადიონები.

9. სტადიონის რეაბილიტაცია დაფინანსდა 85.3 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.2%-ს შეადგენს.

ბ) კულტურის სფერო

კულტურის სფერო დაფინანსდა 1 493.2 ათ. ლარით, რაც გეგმის 81.9%-ია.

1. ა(ა)იპ „ა. ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი“ დაფინანსდა 209.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია.

2. ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება“ დაფინანსდა 99.6%-ით, ანუ 134.4 ათ. ლარით.

3. ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრი“ დაფინანსდა 99.9%-ით, ანუ 366.0 ათ. ლარით.

4. სსიპ „ქ. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ დაფინანსდა 100.0%-ით, ანუ 35.0 ათ. ლარით. აღნიშნული თანხა არის გრანტი „რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალის“ ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

5. ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი" დაფინანსდა 98.2%-ით, ანუ 27.0 ათ. ლარით.

6. ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრი" დაფინანსდა 55.8 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

7. ა(ა)იპ "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი" დაფინანსდა 9.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

8. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები დაფინანსდა 73.6%-ით, ანუ 120.1 ათ. ლარით.

მათ შორის:

- შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 16.6 ათ. ლარი.
- 3-8 მარტი - დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 8.1 ათ. ლარი.
- 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 4.1 ათ. ლარი.
- დედაენის დღე - 3.4 ათ. ლარი.
- 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 1.7 ათ. ლარი.
- ბოლო ზარისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 3.3 ათ. ლარი.
- 1 ივნისი - ბავშვთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 4.5 ათ. ლარი.
- 8 აგვისტო - რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 2.0 ათ. ლარი.
- საგანმანათლებლო მედია პროექტი "ეტალონი" - 3.0 ათ. ლარი.
- საპატიო მოქალაქეთა დაჯილდოება (საჩუქრები) - 3.2 ათ. ლარი.
- ოკუპაციის კვირეული - 2.5 ათ. ლარი.
- ქალაქის დღე - 13.0 ათ. ლარი.
- ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდებისა და სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა მატერიალური წახალისება (ჯილდო) - 15.2 ათ. ლარი.
- სხვა გაუთვალისწინებელი კულტურული ღონისძიებები - 2.1 ათ. ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდა საქართველოს I პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირება - 7.5 ათ. ლარი.
- სახვითი ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი "წელიწადის ოთხი დრო - მეგობრობის პალიტრა" - 8.2 ათ. ლარი.
- მასწავლებლის დღე - 2.5 ათ. ლარი.
- შეხვედრა ხელოვანებთან - 2.3 ათ. ლარი.
- ფოთი - საქართველოს კარიბჭე - 12.4 ათ. ლარი.
- შემოდგომის საღამო - 4.5 ათ. ლარი.

9. თეატრის შენობის რეაბილიტაციის პროექტირება დაფინანსდა 24.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია.

10. ქალაქ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის რეაბილიტაცია დაფინანსდა 511.1 ათ. ლარით, რაც გეგმის 64.1%-ია. ობიექტი გარდამავალია და გაგრძელდება 2020 წელსაც.

გ) რელიგიის სფერო

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძარი დაფინანსდა 73.0%-ით, ანუ 65.7 ათ. ლარით.

დ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში

ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი“ დაფინანსდა 112.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია.



VIII. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა

ჯანმრთელობის დაცვა

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 615.0 ათ. ლარს, დაფინანსებამ 581.3 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 94.5%-ია. მათ შორის:

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“) დაფინანსდა 164.3 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

2. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 417.0 ათ. ლარით. გეგმა ითვალისწინებდა 450.0 ათ. ლარის ხარჯს.

მათ შორის:

- მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამა დაფინანსდა 254.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 88.8%-ია. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 659 მოქალაქეს.
- მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა დაფინანსდა 79.7 ათ. ლარით, რაც გეგმის 98.9%-ია. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 892 მოქალაქეს.
- გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევისა და პროფილაქტიკის პროგრამისათვის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8.5 ათ. ლარი, რაც გეგმის 100.0%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 269 მოქალაქემ.
- სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამის გეგმა განსაზღვრული იყო 33.9 ათ. ლარით, რაც 100%-ით დაფინანსდა.

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების პროგრამის ხარჯმა 37.0 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 100%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 58 ბავშვმა.
- ფენილკეტონურიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა დაფინანსდა 3.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 100%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 3 ბენეფიციარმა.

სოციალური დაცვა

სოციალური დაცვის ღონისძიებების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 336.7 ათ. ლარს, დაფინანსებამ შეადგინა 1 314.2 ათ. ლარი, ანუ 98.3%.

მათ შორის:

1. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა დაფინანსდა 510.9 ათ. ლარით. გეგმა ითვალისწინებდა 513.4 ათ. ლარის ხარჯს.

აქედან:

- მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 63.1 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.7%-ს შეადგენს. აღნიშნული პროგრამით ყოველთვიური დახმარება გაეწია დაახლოებით 113 მოქალაქეს.
- ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრის“ პროგრამა დაფინანსდა 89.2 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.1%-ია. აღნიშნული პროგრამით საშუალოდ სარგებლობს 10 ბავშვი.
- 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახების და დაჭრილ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 5.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 11 ოჯახს.
- 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის აგრესიის შედეგად სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულთა ოჯახების ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა დაფინანსდა 9.6 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია. აღნიშნული პროგრამით ყოველთვიურად დახმარება გაეწია 4 ოჯახს.
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა, ამავე ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 7.2 ათ. ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 29 მოქალაქეს.
- ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 20.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 95.2%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 200 ოჯახმა.
- მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარების პროგრამა დაფინანსდა 193.4 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 251 ოჯახმა.
- 5 და მეტშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 40.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 20 ოჯახმა.
- უსინათლოების მატერიალური დახმარების პროგრამა კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად დაფინანსდა 28.2 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 62 მოქალაქემ.
- უსინათლოებისათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შეძენის პროგრამა დაფინანსდა 0.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 90.0%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 6 მოქალაქემ.

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის დახმარების პროგრამა კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად დაფინანსდა 4.6 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია.
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა დახმარების პროგრამის ხარჯმა შეადგინა 48.8 ათ. ლარი, რაც გეგმის 100.0%-ია. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 28 მოქალაქეს.

2. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში დაფინანსდა 769.2 ათ. ლარით, რაც გეგმის 97.5%-ია.

მათ შორის:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების პროგრამის გეგმა განსაზღვრული იყო 35.0 ათ. ლარი, დაფინანსებამ შეადგინა 24.8 ათ. ლარი, რაც გეგმის 70.9%-ია. აღნიშნული თანხიდან, ერთჯერადი მატერიალური დახმარება 300 ლარის ოდენობით გაეწია 11 ოჯახს, ხოლო ჩასასვენებელი ჭურჭელი შესყიდულ იქნა 110 განსვენებულზე.
- საქალაქო ავტობუსების სუბსიდირების ხარჯები დაფინანსდა 80.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია;
- სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების პროგრამა დაფინანსდა 47.8 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია სულ 442 მოქალაქეს:
  - 17 წლამდე ასაკის დედითა და დედ-მამით ობლებს;
  - 1989 წლის 9 აპრილის მონაწილეს;
  - ქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პენსიონრებს;
  - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 17 წლამდე ასაკის მოზარდებს;
  - ქალაქში მცხოვრებ უხუცესებს.
- ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი“ დაფინანსდა 257.8 ათ. ლარით, რაც გემის 100.0%-ია;
- ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“ დაფინანსდა 226.3 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.
  აღნიშნული პროგრამით მომსახურება გაეწია 28 ბენეფიციარს.
- ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების ცენტრი“ დაფინანსდა 132.5 ათ. ლარით, რაც გეგმის 93.3%-ია.

3. სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებისათვის სხვადასხვა დახმარების გაწევისათვის დაიხარჯა 34.1 ათ. ლარი. აღნიშნული თანხით დახმარება გაეწია 39 მოქალაქეს.



2019 წელს გაწეული გადასახდელები მუხლობრივ ჭრილში

- "შრომის ანაზღაურების" მუხლი დაფინანსებულია 98.7%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 2 853.7 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებამ 2 817.4 ათ. ლარი შეადგინა.
- "შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება" დაფინანსდა 383.6 ათ. ლარით, რაც გეგმიას 97.8%-ია.
- "მივლინების" ხარჯები დაფინანსებულია 68.1%-ით, გეგმა იყო 39.5 ათ. ლარი, ფაქტიურად გაწეულია 26.9 ათ. ლარის ხარჯი.
- "ოფისის ხარჯები" დაფინანსებულია 71.3%-ით. გეგმა განსაზღვრული იყო 335.8 ათ. ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 239.3 ათ. ლარი შეადგინა.
- "წარმომადგენლობითი ხარჯები" დაფინანსებულია 16.2 ათ. ლარით, ანუ 90.0%-ით.
- „რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები", რომლის გეგმა შეადგენდა 1.5 ათ. ლარს, არ დაფინანსებულა.
- "ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები" დაფინანსებულია 95.7%-ით, გეგმით განსაზღვრული იყო 191.5 ათ. ლარის ხარჯი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 183.3 ათ. ლარი შეადგინა.
- „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება" დაფინანსდა 65.7%-ით, გეგმით განსაზღვრული იყო 2 896.9 ათ. ლარის ხარჯი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 1 903.8 ათ. ლარი შეადგინა.
- "პროცენტის" ხარჯი დაფინანსდა 99.6%-ით, ანუ 48.3 ათ. ლარით.
- "სუბსიდიების" ხარჯი დაფინანსდა 99.5%-ით, გეგმით განსაზღვრული იყო 8 354.1 ათ. ლარის ხარჯი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 8 311.8 ათ. ლარი შეადგინა.
- „გრანტების" ხარჯი დაფინანსებულია 65.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია.

- „სოციალური უზრუნველყოფის“ ხარჯი დაფინანსდა 95.1%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 1 006.2 ათ. ლარით, ფაქტიურმა დაფინანსებამ 957.1 ათ. ლარი შეადგინა.
- „სხვა ხარჯების“ გეგმა დაფინანსდა 2 744.7 ათ. ლარით, გეგმა განსაზღვრული იყო 3 026.3 ათ. ლარის ოდენობით.
- „არაფინანსური აქტივების ზრდა“ დაფინანსდა 82.3%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 7 539.8 ათ. ლარით, ფაქტიურმა დაფინანსებამ 6 206.1 ათ. ლარი შეადგინა.
- „ვალდებულებების კლება“ დაფინანსდა 99.9%-ით, ანუ ფაქტიურმა დაფინანსებამ 166.8 ათ. ლარი შეადგინა.





ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია